



ცვლილება ბრძანებაში

შინაარსი

- სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პირისთვის/გადასახადის გადამხდელისთვის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ განკარგვის შედეგად მიღებული თანხის დაბრუნება

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პირისთვის/გადასახადის გადამხდელისთვის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ განკარგვის შედეგად მიღებული თანხის დაბრუნება

2025 წლის 17 აპრილს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №96, რომლითაც ცვლილება შევიდა „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწმების, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში. აღნიშნული ცვლილებით, განახლდა ბრძანებაში არსებული საგადასახადო სამართალდარღვევის 69-ე მუხლი, კერძოდ, პირის/გადასახადის გადამხდელის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ღირებულების ანაზღაურება სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ამავე აქტივის რეალიზაციის და უსასყიდლოდ განკარგვის შემთხვევაში.

+ + + + +



საგადასახადო სამართალდარღვევებთან დაკავშირებით შეგახსენებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირს საგადასახადო სანქციის შედეგად უსასყიდლოდ ჩამოერთვა საქონელი/სატრანსპორტო საშუალება, ხოლო შემდეგ აღნიშნული გადაწყვეტილება ბათილად გამოცხადდა ან დავის განმხილველი ორგანოს/სასამართლოს მიერ, სსკ-ის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე გათავისუფლდა პირი სანქციისგან, მაშინ პირი უფლებამოსილია წერილობითი ან ელექტრონული ფორმით მიმართოს საქონლის/ტრანსპორტის დაბრუნების თაობაზე საგადასახადო ორგანოს. განცხადებით მიმართვის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, საგადასახადო ორგანო ადგენს საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დასრულებულია თუ არა განკარგვის პროცედურები.

ცვლილებამდე რედაქციით, თუ საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე დასრულებულია განკარგვის პროცედურები და არ არსებობს ამ პროცედურების/შედეგების გაუქმების საფუძველი, საგადასახადო ორგანო იხელმძღვანელებს ფინანსთა მინისტრის

2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/346 ბრძანების მიხედვით. რის შესაბამისადაც, თუ არ არსებობს ამ პროცედურების შეჩერების ან შედეგების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, პირს/გადასახადის გადამხდელს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ უბრუნდება საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა.

ცვლილების თანახმად, ბრძანების 69-ე მუხლის მე-7 პუნქტს დაემატა აქტივის უსასყიდლოდ განკარგვის გარემოებაც. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, საქონლის/ტრანსპორტის უსასყიდლოდ განკარგვის შემთხვევაში (სააგენტოს მიერ ქონების უსასყიდლოდ პრივატიზება, რეალიზაცია, განაწილება, განადგურება და ლიზინგის ფორმით გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით), პირს ღირებულება აუნაზღაურდება სახელმწიფო საბინიდან, ჩამორთმევის მომენტში საბაზრო/საბაჟო ან სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი ღირებულებით.

ცვლილება ძალაშია 2025 წლის 18 აპრილიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიხლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

ცვლილება ეხება თანხის დაბრუნების საკითხს ჩამორთმეული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ განკარგვის შემთხვევაში.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
ME nukidze@bdo.ge

▶ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების

გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ

ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის

ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე.

გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის

განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.